პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 45 (4815)
6 მარტი, შაბათი, 1973 წ.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან



## მედლები კავგოლოვოს თოვლში

ევროპის იუნიორ მოთხილამურეთა VI ღია ჩემპიონატში დავა ორჭიდელებმაც დაამთავრეს. ისინი, როგორც წესი, ჯერ ტრამპლინიდან ხტომაში ასპარეზობდნენ, მეორე დღეს კი შედეგებს 10 კილომეტრზე რბენით აჯამებდნენ.

ტრამპლინიდან ხტომაში ნორვეგიელი ჭაბუკი პ. შეტნე საგრძნობლად დააწინაურა. მან სამიდან ორი საუკეთესო ნახტომით (70,5 და 68,5 მ) 211,5 ქულა მოაგროვა. რის წყალობითაც უახლოეს მეტოქეებს — თანაგუნდელ ა. ჰენდენაა და ა. მიხლეკს (გდრ) 9 ქულით გაუსწრო. ჰენდენი ორი ცდის ჯამში (68 და 68 მ) მიხლეკზე (68,5 და 65 მ) შორს გადახტა, მაგრამ მეტოქეს სტილში ჩამორჩა და მსაჯთა კოლეგიამ გერმანელს ამ სახეობაში II ადგილი მიაკუთვნა. მეოთხე შედეგი ჰქონდა პოლონელ ს. კავულეკს — 202,3 (68 და 65,5 მ).

ჩემპიონატის მასპინძლებიდან საუკეთესომ — ს. ომელჩენკომ ნახტომების სიგრძით (68 და 66,5 მ) მიხლეკსაც აჯობა და კავულეკსაც, მაგრამ ფრენის სტილში ჩამორჩა და ამიტომ 200,1 ქულით V ადგილს დასჯერდა. მან სულ რაღაც 0,4 ქულით გაუსწრო თანაგუნდელ ა. ბარანოვს, რომელიც 68,5 და 64 მეტრზე გადახტა.

მაგრამ ხშირად ყოფილა, რომ კარგ მხტომელს ცუდად ურბენია და წინადღის მონაპოვარი „თოვლში გადაუყრია". ახლაც კინაღამ ასე მოხდა: 10 კილომეტრზე რბენაში შეტნემ მეხუთე შედეგი (36.39) აჩვენა. მას აჯობეს უ. ჰეტიხმა (გფრ) — 36.25, კავულეკმა — 36.26, კ. ვინკლერმა (გდრ) — 36.27 და რ. კუვაიამაც (ფინეთი) — 36.35. რბენაში გამარჯვებისთვის ჰეტიხმა უმაღლესი შეფასება — 220 ქულა დაიმსახურა, შეტნემ კი, რომელმაც დასავლეთგერმანელ ორჭიდელთან 14 წამი წააგო, 217,4 ქულა მიიღო, თუმცა საბოლოო გამარჯვებისთვის ესეც საკმარისი აღმოჩნდა.

ამრიგად, იუნიორთა შორის კონტინენტის ჩემპიონია 19 წლის ტრონჰეიმელი შეტნე — 428,9 ქულა. ვერცხლის მედალი მოიპოვა კავულეკმა — 422,1, ბრინჯაოსი კი ჰეტიხმა (410,3), რომელიც ხტომის შემდეგ ათეულშიც არ იყო.

საბჭოთა სპორტსმენთაგან საუკეთესომ ბარანოვმა ორჭიდში VI ადგილი დაიკავა — 407,3 ქულა.

სამაგიეროდ, მასპინძლებმა თავი პროგრამის სხვა სახეობებში ისახელეს. „მფრინავ მოთხილამურეთა" შეჯიბრებაში ოქროს მედალი დაისაკუთრა 17 წლის კიროველმა მოსწავლემ ე. ჩერნიშოვმა. იგი ჯერ 77,5 მეტრზე გადახტა, 229,5 ქულა მოაგროვა. II ადგილზეა ი. ეკსტაინი (გდრ) — 225,4, III კი ლენინგრადელი ა. კარაპუზოვი — 211 ქულა.

როგორც გოგონათა (3×5 კმ), ისე ჭაბუკთა (3×10 კმ) ესტაფეტები სსრ კავშირის მოთხილამურეებმა მოიგეს. მასპინძელმა გოგონებმა (54.33,6) II ადგილზე გასულ ნორვეგიელებს თითქმის წუთით აჯობეს — 55.27,79. ბრინჯაოს ჯილდო შვედების ტრიოს დარჩა — 55.29,37.

ჭაბუკთა შეჯიბრებაში მასპინძლები პირველ ეტაპზევე დაწინაურდნენ, რაც საბოლოოდ თითქმის წუთნახევრის უპირატესობაში გამოიხატა. სსრ კავშირის გუნდმა სტარტიდან ფინიშამდე მისვლას 1:40.30,53 მოანდომა, დასავლეთგერმანელებმა — 1:41.53,43, მესამე პრიზიორებმა — ფინეთის მოთხილამურეებმა კი 1:42.29,45.

ამრიგად, მასპინძლებმა კავგოლოვოს მიდამოებში ოთხ ოქროს, ერთ ვერცხლისა და ორ ბრინჯაოს მედალს მიაკვლიეს. მათმა მთავარმა მეტოქემ — ნორვეგიის ნაკრებმა ერთი ოქროსა და ორი ბრინჯაოს მედალი მიიღო.

• • •

სურათზე: ა. კარაპუზოვი შეჯიბრების დროს.

ვ. გალაქტიონოვის ფოტო.



## ალტაცების შეძახილები ტრიბუნებზე

„არმიელმა რ. ხარშილაძემ ტურნირი მარცხით დაიწყო. მან წააგო კრასნოიარსკის დინამოელ ე. აგაფონოვთან. მერე რამაზი თავგამოდებით იბრძოდა და ნახევარფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა. აქ იგი ევროპის ჩემპიონ ჩ. ეზერსკასს შეხვდა. ეს ბრძოლა ხარშილაძისთვის იოლი გამოდგა. იგი ჩემპიონზე ბევრად ძლიერი იყო და გაიმარჯვა ანგარიშით 5:0.

ფინალში ბედმა ისევ ხარშილაძე და აგაფონოვი შეახვედრა ერთმანეთს. რამაზმა მეტოქეს ყურადღება მოუდუნა, შემდეგ დრო იხელთა და ისე ოსტატურად დასცა იგი ძირს, რომ ტრიბუნებს ალტაცების შეძახილები მოედო. ხარშილაძის მიერ შესრულებული ილეთი სამბოს სახელმძღვანელოსთვის ბრწყინვალე ილუსტრაციად გამოდგებოდა.

ი. ვანიატი".

„სოვეტსკი სპორტი", 3 მარტი.

მაიკოპში ჩატარებულ საკავშირო ჩემპიონატში თბილისელმა სამბისტმა რ. ხარშილაძემ I ადგილი დაიკავა პირველ საშუალო წონაში. გუშინ „ლელოს" კორესპონდენტი ჩემპიონს შეხვდა.

● თუ არ ვცდებით, თქვენ არ უნდა მიგეღოთ მონაწილეობა ამ ჩემპიონატში. რა მოხდა მერე?

— მას შემდეგ, რაც საკავშირო ფედერაციის გადაწყვეტილებით ძიუდოსა და სამბოს ოსტატები მკვეთრად გაემიჯნენ ერთმანეთს, მე ძიუდოისტთა ნაკრებში ჩამრიცხეს. მაიკოპში გამოსვლას არ ვაპირებდი, მაგრამ საბჭოთა არმიის სპორტული კლუბის დაჟინებითი მოთხოვნით მსაჯთა კოლეგია დათმობაზე წავიდა და გუნდში ჩავირიცხე.

● რა მოხდა თქვენს პირველ ბრძოლაში აგაფონოვთან?

— განსაკუთრებული არაფერი. ვინაიდან გუნდში ჩავირიცხე, საჭირო გახდა ზედმეტი კილოგრამების დაგდება. სამ დღეში ექვსი კილოგრამი დავიკელი და, ცხადია, პირველი ბრძოლისთვის თავს სუსტად ვგრძნობდი.

● ჩატარებული შეხვედრებიდან რომელი მიგაჩნიათ ყველაზე ძნელად?

— ყველაზე პასუხსაგები, ჩემი აზრით, იყო პირველი ბრძოლა აგაფონოვთან და შეხვედრა ეზერსკასთან.

● უახლოეს ხანში რა შეჯიბრებები გელით?

— წლეულს უკვე სამჯერ მომიხდა დიდ სარბიელზე გამოსვლა. ჯერ მოვიგე შეიარაღებული ძალების საკავშირო შეჯიბრება სამბოში, მერე ძიუდოისტთა თბილისის საერთაშორისო ტურნირი და ბოლოს მაიკოპის საკავშირო პირველობა. ახლა წინ მაქვს ბაქოს საერთაშორისო ტურნირი (სამბოში) და მერე სამბისტთა პირველი მსოფლიო ჩემპიონატი, რომელიც ივნისში თეირანში გაიმართება. იმედი მაქვს, თავს არც ამ ტურნირებში შევირცხვენ.

• • •

სურათზე: რ. ხარშილაძე.

მ. ზარგარიანის ფოტო.

„ლელოს" ინტერვიუ

## სალი ლეიკ-ი-73

● ლაჰტი, 4 მარტი. საპოროს ოლიმპიადის გმირმა, იუევსკელმა მოთხილამურემ გ. კულაკოვამ „ფალუნის თამაშებში" (შვეცია) სამი ოქროს მედლის მოგების შემდეგ დღეს ფინეთის ამ ქალაქში ისპარეზა და 10 კილომეტრზე რბოლაში დამაჯერებლად აჯობა სახელგანთქმულ მასპინძლებს მ. კაიოსმაასა და ჰ. კუნტოლას. გამარჯვებულის დროა 32.42.

● სტოკჰოლმი, 4 მარტი. ტრადიციული 50-ე სათხილამურო რბოლა „ვაზა-ლოპეტი" ფინელმა პ. სიტონენმა მოიგო — 85-კილომეტრიანი შემარათონული დისტანცია მან 4 საათში, 42 წუთსა 11 წამში დაფარა. ფ. სიმაშოვმა X ადგილი დაიკავა (4:48.35), ი. გარანინმა — XI (4:50.13), ვ. ვედენინმა — XIV (4:50.54), ი. ჩარკოვსკიმ — XIX (4:55.29), ნ. ანტონენკომ — XXV (4:59.52), ვ. პოპოვმა — XXXII (5:03.20). სულ 8834 მოთხილამურემ აიღო სტარტი.

● ლენინგრადი, 4 მარტი. მაგიდის ჩოგბურთის საბჭოთა ოსტატებმა ევროპული ლიგის გათამაშების მორიგ მატჩში ანგარიშით 4:3 სძლიეს გფრ-ის ნაკრებს. ახლა საბჭოთა სპორტსმენები II ადგილზე არიან — 4 ქულა 5 შეხვედრის შემდეგ. შეჯიბრებას კვლავინდებურად ლიდერობენ უნგრელები, რომელთაც 4 ქულა აქვთ 4-დან.

● ლონდონი, 4 მარტი. „მარტინის" თასზე აქ გამართულ ტრადიციულ ტურნირში დაშნით ფარიკაობის საბჭოთა ოსტატებმა რამდენიმე წელს წარუმატებლად გამოსვლის შემდეგ კარგად იასპარეზეს: I ადგილი დაიკავა კიეველმა ს. პარამონოვმა, ხოლო II — ლენინგრადელმა ბ. ლუკომსკიმ. ფინალში იგი პარამონოვთან დამარცხდა ანგარიშით 4:10. III ადგილისთვის ბრძოლაში ალმაათელმა ი. ვალეტოვმა მარცხის სიმწარე იწვნია შვეიცარიელ დ. გიგერთან.

● კიევი, 4 მარტი. ადგილობრივი „სპარტაკის" ხელბურთელ ქალთა გუნდმა თავის მოედანზე ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველ ნახევარფინალურ მატჩში სძლია ჰოლანდიის „ნილოკს" — 25:12 (10:4).

● მინსკი, 4 მარტი. XII ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი ი. პოდდუბნის პრიზზე საბჭოთა „კლასიკოსების" წარმატებით აღინიშნა. ხალიჩაზე თავი მოიყარეს 11 ქვეყნის — სსრ კავშირის, ბულგარეთის, გდრ-ის, ირანის, რუმინეთის, პოლონეთის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის, შვეციისა და ფინეთის წარმომადგენლებმა. აი, გამარჯვებული ექვსი საბჭოთა მოჭიდავე: ვ. ნევცვეტაევი, ვ. კონსტანტინოვი, ე. ფაინშტეინი, შ. ხისამუტდინოვი, ე. არტიუხინი და ა. ზელენკო. სამი ოქროს მედალი ბულგარელებმა მიიღეს, ერთი კი ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელმა.

● ალმა-ათა, 4 მარტი. მედეოს საციგურაოზე გაიმართა სსრ კავშირის ჩემპიონატი სპრინტერულ მრავალჭიდში. ჩემპიონები გახდნენ ამასწინანდელ მსოფლიო პირველობაში გამარჯვებული, კოლომნელი მოციგურავე ვ. მურატოვი (158,145 ქულა) და გორკის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი ტ. ავერინა (180,455). მომდევნო საპრიზო ადგილებზე არიან: მოსკოველები ვ. კომაროვი და ვ. კაშჩეი, კიეველი ტ. ძელეხოვა და ლენინგრადელი ნ. სტატკევიჩი.

● ბენუა, 4 მარტი. ადგილობრივ დარბაზში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში ამერიკელმა სპრინტერმა ჰ. ვაშინგტონმა 60 მ 6,5 წამში გაირბინა, რაც 0,1 წამით ნაკლებია მსოფლიო მიღწევაზე. 60 მეტრზე თარჯრბენში ყველას აჯობა ლ. შიპმა (აშშ) — 7,6 წამი. იტალიელმა რ. დიონისიმ გაიმარჯვა ჭოკით ხტომაში — 540 სმ. ეს 9 სანტიმეტრით ჩამოუვარდება მსოფლიო მიღწევას.

## ჩემპიონები კვარცხლბეკს ტოვებენ

მაიკოპი, 5 მარტი. სამბისტთა საკავშირო ჩემპიონატში ყველაზე მოკლე ფინალური ორთაბრძოლა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა, მოსკოვის დინამოელმა დ. რუდმანმა (70 კგ-მდე) ჩაატარა. მან 27 წამში დაამარცხა ლენინგრადელი ვ. ნიკულინი და ქვეყნის ექვსგზის ჩემპიონი გახდა.

სენსაციურად დამთავრდა შეჯიბრება 93 კგ-მდე წონითს კატეგორიაში. პრიზიორთა შორის ვერ მოხვდა ბევრი ცნობილი ათლეტი, მათ შორის, ლენინგრადელი სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. პოკატაევი. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ „დინამოს" ჩემპიონი ი. კაიუმოვი და დუშანბელი ნაკლებად ცნობილი მოჭიდავე ს. რახიმოვი, რომელიც სულ ორი წელია სამბოში გამოდის. და აი, ქულებით გაიმარჯვა რახიმოვმა.

100 კგ-მდე წონითს კატეგორიაში ოქროს მედალი მოიპოვა ნ. დანილოვმა, ხოლო 100 კგ-ს ზევით ჩემპიონის წოდება ვ. საუნინმა შეინარჩუნა. ფინალში მან შეუპოვარ ბრძოლაში მცირე უპირატესობით პირდაპირ ხელიდან გამოჰგლიჯა გამარჯვება გორელ სტუდენტს გ. თანდელოვს.

სსრ კავშირის 27-ე ჩემპიონატი დამთავრდა. რვა ძველმა ჩემპიონმა კვარცხლბეკი დატოვა. სსრ კავშირის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა კ. იონოვმა საკდესის კორესპონდენტს უთხრა, რომ მაიკოპის ხალიჩაზე უმთავრესად ახალგაზრდა სპორტსმენები უტევდნენ. ბევრი მოჭიდავის ოსტატობა მკვეთრად გაზრდილია, რაც უთუოდ ამძაფრებს ბრძოლას სსრ კავშირის ნაკრებში მოხვედრისთვის, რომელიც წლეულს თეირანში პირველ მსოფლიო ჩემპიონატში უნდა გამოვიდეს.

ჩემპიონატის პრიზიორები: 70 კგ-მდე. 1. დ. რუდმანი (მოსკოვი), 2. ვ. ნიკულინი (ლენინგრადი), 3. მ. ელატომცევი (ჩელიაბინსკი), ვ. კოროევი (ორჯონიკიძე); 93 კგ-მდე. 1. ს. რახიმოვი (დუშანბე), 2. ი. კაიუმოვი (კუიბიშევი), 3. ვ. გლუხოვი (ნოვოსიბირსკი), გ. მალენკინი (ვლადიმირი); 100 კგ-მდე. 1. ნ. დანილოვი (ომსკი), 2. პ. ლიუბენეცი (კიშინიოვი), 3. პ. ანტონოვი (სვერდლოვსკი), გ. ანდრიუხინი (აშხაბადი); 100 კგ-ს ზევით. 1. ვ. საუნინი (კიევი), 2. გ. თანდელოვი (გორი), 3. ვ. გუცუ (კიშინიოვი), ა. ჟუკოვი (მინსკი).

სსრ კავშირის მძლეოსანთა ღია ჩემპიონატში, რომელიც 1-4 მარტს ჩატარდა მოსკოვში, ძმები ზნამენსკების სახელობის მანეჟში, ბევრი საკავშირო და მსოფლიო მიღწევა დამყარდა. გუშინწინ ჩელიაბინსკელმა თ. კაზაჩკოვამ მსოფლიო მიღწევა დაამყარა 1 კილომეტრზე რბენაში — 2.44,8. ამ მანძილზე ვაჟთა რბენა საკავშირო მიღწევით აღინიშნა — 2.23,8. იგი როსტოველ ვ. პონომარიოვს ეკუთვნის.

ახალი საკავშირო მიღწევით მიიჭრა ოდესელი ლ. ხიტრინა 100 მეტრზე თარჯრბენის ფინიშთან — 13,5 წამი.

სამხტომში წლეულს სსრ კავშირში საუკეთესო შედეგით გაიმარჯვა თბილისელმა ვ. სანეევმა: მეხიკოსა და მიუნხენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი 16,77 მეტრზე გადახტა.

გუნდური პირველობა უკრაინის მძლეოსნებმა მოიგეს. II ადგილზე არიან მოსკოველები.




სურათზე: ვ. სანეევი ლუჟნიკის სტადიონზე ასპარეზობის დროს.

მ. ზარგარიანის ფოტო.

# მინდორზე ჭაბუკები გამოდიან

8 მარტს იწყება ჭაბუკ ფეხბურთელთა რესპუბლიკური პირველობა, რომელიც ერთდროულად მოსამზადებელი ჯგუფების საკავშირო ზონალური შეჯიბრებაცაა.

გათამაშების პირველ დღეს შედგება შემდეგი მატჩები: მწვრთნელთა სკოლა (თბილისი) — ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თელავი), „დილა" (გორი) — ახ. საფ. სკოლა (თბილისი), „გურია" (ლანჩხუთი) — „განთიადი" (თბილისი), განათლების განყოფილება (თბილისი) — „კოლხეთი" (ფოთი), „ტორპედო" (ქუთაისი) — „მეტალურგი" (რუსთავი), ახ. საფ. სკოლა (გაგრა) — „დინამო" (თბილისი), „სპორტინტერნატი" (თბილისი) — „დინამო" (სოხუმი), „ავაზა" (თბილისი) — „ლოკომოტივი" (სამტრედია), „მერცხალი" (მახარაძე) — „დინამო" (ბათუმი).

MS 1973
BRATISLAVA

# ყინულზე სპექტაკლის ვარდა დაეშვა

ბრატისლავა, 4 მარტი. სლოვაკიის დედაქალაქის ზამთრის სტადიონზე, რომლის ტრიბუნები 12 ათას მაყურებელს იტევს, ხუთ დღეს მიმდინარეობდა 22 სახელმწიფოს თითქმის 130 ფიგურისტის საინტერესო ბრძოლა მსოფლიო პირველობისთვის. მოციგურავეთა საერთაშორისო კავშირის პრეზიდენტის ჟ. ფავარის (საფრანგეთი) სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ ბრძოლაში მთავარ როლს კვლავინდებურად საბჭოთა სპორტსმენები თამაშობდნენ.

ვაჟთა ერთეულების თანრიგში ნებისმიერი პროგრამით ასპარეზობა მოსკოველმა ს. ჩეტვერუხინმა მოიგო, რომელსაც გადაეცა კიდევ მცირე ოქროს მედალი. მეორე იყო ბრატისლაველი ო. ნეპელა, ხოლო მესამე — ლენინგრადელი ი. ოვჩინიკოვი.

მოკლე და ნებისმიერი პროგრამების ჯამი ასეთი იყო: 1. სერგეი ჩეტვერუხინი (სსრ კავშირი) — 237,21 ქულა (ადგილების ჯამი — 18), 2. ონდრეი ნეპელა (ჩეხოსლოვაკია) — 236,46 (24,5), 3. იური ოვჩინიკოვი (სსრ კავშირი) — 235,11 (33,5), 4. ტოლერ კრენსტონი — 235,40 (34), 5. რონალდ შეივერი (ორივე — კანადა) — 234,88 (38), 6. იან ჰოფმანი (გდრ) — 231,35 (53)... 17. იგორ ლისოვსკი (სსრ კავშირი) — 211,24 (148).

საბოლოოდ მსოფლიო ჩემპიონის წოდება ნეპელამ მოიხვეჭა. ვერცხლის მედალი ჩეტვერუხინს ხვდა, ბრინჯაოსი — ჰოფმანს.

საბოლოო ჯამი ასეთია: 1. ნეპელა — 355,66 (10), 2. ჩეტვერუხინი — 348,91 (17), 3. ჰოფმანი — 340,55 (35), 4. ჯონ კარი (დიდი ბრიტანეთი) — 338,43 (39), 5. კრენსტონი — 336,60 (46), 6. ოვჩინიკოვი — 334,01 (54)... 16. ლისოვსკი — 302,24 (147).

დღეს სპორტის სასახლის ტრიბუნები ისევ მრავალრიცხოვანმა მაყურებლმა აავსო — ყინულის სარბიელზე მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეთა საჩვენებელი გამოსვლა მოეწყო.

უძლიერეს ფიგურისტთა შემდეგი ოფიციალური ასპარეზობები გაიმართება: ზაგრებში — ევროპის ჩემპიონატი, მიუნხენში — მსოფლიო პირველობა.

## გელერი კმაყოფილია

ბუდაპეშტში დამთავრდა უნგრეთის დედაქალაქის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი. I ადგილი დაიკავა საბჭოთა დიდოსტატმა ე. გელერმა — 10,5 ქულა 15-დან. II ადგილზეა ასევე საბჭოთა დიდოსტატი ა. კარპოვი — 9,5. III-VI ადგილები გაიყვეს რ. ვაგანიანმა (სსრ კავშირი), ა. ადორიანმა, ლ. საბომ (ორივე — უნგრეთი) და ე. ჰორტმა (ჩეხოსლოვაკია) — 8,5-8,5.

გელერმა საკდეხის კორესპონდენტს უთხრა:

„ეს გამარჯვება განსაკუთრებით სასიამოვნოა ჩემთვის: 1952 წელს სწორედ ბუდაპეშტში გავხდი დიდოსტატი. ეს იყო გამოჩენილი უნგრელი მოჭადრაკის მაროცის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირში, რომელმაც მსოფლიოს თითქმის ყველა კარგ მოჭადრაკეს მოუყარა თავი.

ბუდაპეშტის ტურნირის მონაწილეთა შემადგენლობა ძლიერი იყო. საკმარისია ითქვას, რომ რვა დიდოსტატი თამაშობდა. მაღალი კლასი გამოავლინეს ადორიანმა და საბომ, მაგრამ საბოლოო გამარჯვებასთან ყველაზე ახლოს მხოლოდ კარპოვი იყო. სამწუხაროდ, მან რამდენიმეჯერ ხელიდან გაუშვა აშკარა მოგება. კარგად დაიწყო ვაგანიანმა, მაგრამ უღალატა ყაიმების სერიამ, რომელსაც თავი ვერაფრით დააღწია.

დამთავრებული შეჯიბრება (მე უკვე დიდი ხანია სხვაგან არსად მითამაშია) მსოფლიო პირველობის საზონათშორისო ტურნირისთვის მზადების ერთ-ერთი ეტაპია. აუცილებელია გათამაშებული პარტიების ანალიზი, რათა საჭირო თეორიული და პრაქტიკული დასკვნები გაკეთდეს".

## ლიდერი ყაიმს დასჯერდა

საერთაშორისო ტურნირის „ტალინი-73"-ის IX ტურში მ. ტალმა (სსრ კავშირი) სძლია ი. ტიმანს (ჰოლანდია).

X ტურში ტალი პირველად თამაშობდა მშვიდად. ი. ბალაშოვთან (სსრ კავშირი) მის პარტიაში ბევრჯერ შეიქმნა საფრთხე, მაგრამ მეტოქენი დაზავდნენ. ახლა ტალს 8,5 ქულა აქვს.

საინტერესო გამოდგა ჰ. ვესტერინენ (ფინეთი) — ბ. სპასკის (სსრ კავშირი) შეხვედრა. ფინელმა ოსტატმა ფიგურა შესწირა და შემდგომ შეძლო კიდეც მისი უკან დაბრუნება, მაგრამ სპასკიმ მაინც გაიმარჯვა.

თანაბარ ბრძოლაში განვლო ლ. პოპოვ (ბულგარეთი) — დ. ბრონშტეინის (სსრ კავშირი) შეხვედრამ. ერთხანს დიდოსტატს თითქოს უკეთესი პოზიცია ჰქონდა, მაგრამ ბოლოს პარტია ყაიმით დამთავრდა. სხვა პარტიები გადაიდო.

## დიდი რეზონანსით

კაპაბლანკას ხსოვნისადმი მიძღვნილ საერთაშორისო ტურნირში 9 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან: დიდოსტატი ვ. ულმანი (გდრ) — 8 ქულა, დიდოსტატი ი. დონერი (ჰოლანდია) — 7,5, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ვ. სმისლოვი — 7, საერთაშორისო ოსტატები გ. კუზმინი (სსრ კავშირი), კუბის ჩემპიონი ს. გარსია — 6,5-6,5. დიდოსტატ ვ. სავონს (სსრ კავშირი) 5,5 ქულა აქვს.

გთავაზობთ ტურნირის პატარა „სტატისტიკას": ყველაზე უმცროსი მონაწილეა 17 წლის კუბელი მოჭადრაკე ნ. პინალი. სმისლოვისთვის ეს უკვე მეხუთე მემორიალია (ორჯერ I ადგილი დაიკავა). კუზმინი და სავონი შეჯიბრების დებიუტანტები არიან.

კაპაბლანკას ტრადიციული, X მემორიალი ტარდება სიენფუეგოსში, რომელსაც კუბელები „სამხრეთის მშვენებას" უწოდებენ. ქალაქი განლაგებულია კარიბის ზღვის საოცრად ლამაზ ყურეში. ტურნირის ამბებს დაწვრილებით იტყობინებიან რესპუბლიკის პრესა, რადიო და ტელევიზია. გამოდის სპეციალური ბიულეტენიც.





სურათებზე: საქართველოს თასების პირველ გათამაშებაში გამარჯვებულნი მ. ჩიბურდანიძე და ა. ტუზოვსკი.

მ. ზარგარიანის ფოტოები.

# ფედერაციის პლენუმზე

სამტრედიის ადმინისტრაციული სახლის სხდომათა დარბაზში ამას წინათ გაიმართა ფეხბურთის რაიონული ფედერაციის პლენუმი, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ სპორტის აქტივისტები, ამ სახეობის მესვეურნი, რაიონის ხელმძღვანელი მუშაკები.

განვლილ პერიოდში გაწეულ მუშაობაზე მოხსენებით გამოვიდა ფედერაციის თავმჯდომარე ს. მეავანაძე. მან ილაპარაკა გაწეულ საქმიანობაზე, მოპოვებულ მიღწევებზე, კერძოდ იმაზე, რომ სამტრედიის „ლოკომოტივმა" მოიხვეჭა საქართველოს ჩემპიონობა და „ა" კლასის II ლიგაში თამაშის უფლება. აღინიშნა არსებული ნაკლოვანებებიც.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ა. აბაშიძემ, შ. ნიკურაძემ, შ. გიგილაშვილმა, რ. ვაშაკიძემ, ა. ტორონჯაძემ, გ. მურღულიამ, გ. ბერიძემ, გ. კალაძემ. პლენუმის მუშაობა შეაჯამა საქართველოს კომპარტიის სამტრედიის რაიკომის მეორე მდივანმა ნ. ბახტაძემ. პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კომპარტიის სამტრედიის რაიკომის მდივანმა თ. მიქაძემ.

პლენუმმა ფედერაციის განვლილი მუშაობა დამაკმაყოფილებლად შეაფასა. მოეწყო არჩევნები. სამტრედიის რაიონის ფედერაციის თავმჯდომარედ კვლავ არჩეულია ს. მეავანაძე.

ჯ. ვაშაკიძე,
„კოლმეურნის" სამტრედიის რაისაბჭოს თავმჯდომარე.



# საერთაშორისო ტურნირის ფინიში

## პრიზი — ლევან მაყაშვილს

აშხაბადი, 5 მარტი. თურქმენეთის დედაქალაქში რვა დღეს გრძელდებოდა ჭაბუკ ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომელიც სსრ კავშირის პირველი ნაკრების გამარჯვებით დამთავრდა. ფინალში იგი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდს შეხვდა და გაიმარჯვა — 2:1. ანგარიში გახსნეს გერმანელებმა (შოდე), საპასუხო ბურთი 65-ე წუთზე პენალტით გაიტანა ფიოდოროვმა. დამატებითი დროის მე-4 წუთზე კლიმოვიჩმა გადამწყვეტი ბურთის გატანა შეძლო.

III ადგილისთვის იბრძოდნენ თურქმენეთისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდები. მატჩის ძირითად დროს შედეგი არ მოუცია — 0:0. გოლი არც დამატებით დროში გასულა, პენალტების სერიამ კი გამარჯვება ჩეხოსლოვაკიის გუნდს მოუტანა — 4:2.

V-VIII ადგილებზე გავიდნენ რუმინეთის, სსრ კავშირის (მეორე), შვეციისა და საქართველოს გუნდები.

ტურნირის საუკეთესო ნახევარმცველად, თავდამსხმელად და ყველაზე ტექნიკურ მოთამაშედ მიჩნეული არიან შოდე (გდრ), რედუკანუ (რუმინეთი) და ბურეში (ჩეხოსლოვაკია).

სპეციალური პრიზებით დაჯილდოვდნენ, აგრეთვე, მეკარე კუროჩკინი, თავდამსხმელი ქიგაჩოვი (ორივე — თურქმენეთი), მცველი ეგოროვი, თავდამსხმელი ფიოდოროვი (ორივე — სსრკ I) და ტურნირის ყველაზე ნორჩი მონაწილე, მეკარე ლევან მაყაშვილი (საქართველო).

# ვეტერანის კრიზზე

დაიწყო შ. შავგულიძის სახელობის ტრადიციული ტურნირი რესპუბლიკის „ა" კლასის II ლიგის გუნდებისთვის.

ჩვენი ფოთელი კორესპონდენტი ბ. ბასილაია გვატყობინებს ადგილობრივი „კოლხეთისა" და სოხუმის „დინამოს" შეხვედრაზე. ძლიერი, გადაუღებელი წვიმის შემდეგ სათამაშო მინდორი გუბეებით იყო დაფარული, ამან, რა თქმა უნდა, გააძნელა ბრძოლა და ბურთი უმეტესად მინდვრის შუაგულში ტრიალებდა, თუმცა ფოთელ კვარაცხელიას მე-15 წუთზე მიეცა ანგარიშის გახსნის კარგი შესაძლებლობა, მაგრამ გადამწყვეტი დარტყმა მიზანს ააცდინა. ცოტა ხანში დინამოელთა კარი ძელმა იხსნა. 32-ე წუთზე ბურთის გატანის შესაძლებლობა დაკარგეს სოხუმელებმა.

შესვენების შემდეგ ხამალიანის მიერ დარტყმულ ბურთს ბოლო მომენტში მიუსწრო „კოლხეთის" მცველმა ფილიამ, მალე კი ჭედია პირისპირ აღმოჩნდა სტუმართა კართან და დაკარგა ეს საუკეთესო შანსი. ერთი სიტყვით, 90 წუთმა უგოლოდ განვლო — 0:0. დაინიშნა 11-მეტრიანების სერია, სადაც სოხუმელები უფრო ზუსტნი აღმოჩნდნენ: მათ 3 პენალტი გაიტანეს, მასპინძლებმა კი მხოლოდ 2. ანგარიშით 3:2 გაიმარჯვა სოხუმის „დინამომ", რომელსაც 1 ქულა დაეწერა.

• • •

ბათუმში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დინამო" და სამტრედიის „ლოკომოტივი". გაიმარჯვეს გამოცდილმა ბათუმელებმა — 3:1.

დაძაბული ბრძოლით აღინიშნა მატჩი გორში ადგილობრივ „დილასა" და ლანჩხუთის „გურიას" შორის. თამაში მოიგეს გორელებმა — 2:1.

• • •

11 მარტს შედგება II ტურის შეხვედრები: „დინამო" (სოხუმი) — „დილა" (გორი), „ლოკომოტივი" (სამტრედია) — „კოლხეთი" (ფოთი), „მერცხალი" (მახარაძე) — „დინამო" (ბათუმი).

# პრობლემები გადაჭრას მოითხოვს

საქართველოს საფეხბურთო კოლექტივებში მომუშავე მწვრთნელთა უპირველეს და საპატიო მოვალეობად მიმაჩნია არა ქულებისთვის ბრძოლა ყოველგვარი საშუალებებით, არამედ ახალგაზრდა რეზერვების, ნიჭიერ, პერსპექტიულ ფეხბურთელთა ძიება და ზრდა, რომლებმაც ადგილი უნდა დაიმკვიდრონ მაღალი რანგის გუნდებში. თბილისის „დინამო", ქუთაისის „ტორპედო", „ა" კლასის II ლიგის კოლექტივები, სისტემატურ შევსებას საჭიროებენ, ეს პრობლემა კი პირველ ყოვლისა მწვრთნელებმა უნდა გადაჭრან.

ჩემი აზრით, რესპუბლიკის II ლიგის გუნდებში სადღეისოდ არა გვყავს ისეთი ფეხბურთელები, რომლებსაც ძალა შესწევთ ადგილი დაიკავონ თბილისის „დინამოში" ან ქუთაისის „ტორპედოში". ამიტომ ყოველნაირად უნდა ვეცადოთ ეგრეთ წოდებულ „მეორე ეშელონში" საგანგებო ღონისძიებების განხორციელებას, რათა ფართო გზა გავხსნათ ახალგაზრდა ფეხბურთელებს. ვფიქრობ, II ლიგაში არ უნდა ითამაშონ ფეხბურთელებმა, რომელთა ასაკი 25 წელზე მეტია. მათი ადგილი უნდა ახალგაზრდა, მზარდ მოთამაშეებს დავუთმოთ.

ძალიან სამწუხაროა ის ამბავი, რომელიც შარშან მოხდა ქუთაისის „ტორპედოში". აქ მიიწვიეს ასაკგადაცილებულ, უპერსპექტივო ფეხბურთელთა დიდი ჯგუფი რუსეთის გუნდებიდან და, როგორც მოსალოდნელი იყო, ამ „ჩამოწერილმა" ხალხმა კოლექტივს ვერაფერი უშველა. ჩემი აზრით, სწორედ ამიტომ არ მიეცა გასაქანი ახალგაზრდა ვ. შელიას, რომელიც სსრ კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებში იყო და დიდ იმედებსაც იძლეოდა.

საგანგებოდ მინდა გავიხსენო, რომ თბილისის „დინამო" მდიდარ შევსებას უწინ დასავლეთის რაიონებიდან ღებულობდა. ომამდე აქ მოვიდა შესანიშნავ ფეხბურთელთა მთელი პლეადა ფოთიდან, ომის შემდგომ პერიოდში კი აფხაზეთიდან. ამ უმაღლესი კლასის ოსტატებმა ფასდაუდებელი სამსახური გაუწიეს. კოლექტივს, ამიტომ გაკვირვებას იწვევს, რომ ბავშვთა სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლების დიდი ნაწილი ახლა თბილისშია თავმოყრილი, სადაც სათამაშო მინდვრების რაოდენობა მინიმუმამდეა დაყვანილი.

დიდ სიძნელეებს განიცდის ფეხბურთი სოხუმში. აქ შენდება კომფორტული სასტუმროები, სანატორიუმები, რესტორნები, ახალი სტადიონის აგებას კი საშველი არა და არ დაადგა, თუმცა ამაზე განუწყვეტლივ ლაპარაკობენ სპორტულ წრეებში. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, იმ სტადიონის ხეირიან რემონტსაც არაფერი ეშველა, რომელიც ათეული წლების მანძილზე განუწყვეტელი ექსპლოატაციისგან გაპარტახებამდეა მისული. ნუთუ სოხუმელი ახალგაზრდები ახალი რესტორნებით უნდა აღვზარდოთ? მათთვის აუცილებელია თანამედროვე ტიპის, კეთილმოწყობილი სპორტული ბაზა.

მე ვფიქრობ, სასტიკი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ ახალგაზრდებს, რომლებიც ზედმეტად არიან გატაცებული უცხოური მოდით და სპორტში დახელოვნებას კოსმეტიკას და მოშვებულ თმა-წვერს ამჯობინებენ. ამას წინათ სოხუმის სტადიონზე შევხვდი ქუთაისიდან ჩამოსულ ვ. შელიას. მართალი გითხრათ, ვერ ვიცანი. ჩემს წინაშე ჯან-ღონით სავსე სპორტსმენის ნაცვლად იდგა მოდით გატაცებული კაცი, რომელსაც ქალიშვილივით ჰქონდა მხრებზე ჩამოშვებული თმები და, საერთოდ, ეტყობოდა, რომ ქალზე ნაკლებად არ იყო გატაცებული კოსმეტიკით.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ შარშან ოფიციალური წერილით მოგვმართა მწვრთნელებს, რომ შეურიგებელი ბრძოლა გაგვეჩაღებინა თმამოშვებულ ფეხბურთელთა წინააღმდეგ. ეტყობა, ამ მითითებას ყველგან არ აქცევენ სათანადო ყურადღებას. დასავლეთის ქვეყნების ფეხბურთელებს ნეცერს, მიულერსა და სხვებს თმის მოშვებაში კი არ უნდა მივბაძოთ, არამედ მაღალ ოსტატობაში და ბურთის ფლობის ხელოვნებაში.

ს. ეხაკია,
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.
სოხუმი.

 სსრ კავშირის ჩემპიონატი

• •

**უმაღლესი ლიგა**

# ისტორია კალათბურთშიც მეორდება

თბილისი. სპორტის სასახლე. 4 მარტი.

„დინამო" (თბილისი) — „კალევი" (ტარტუ) 94:92 (82:82, 85:86).

„დინამო": მ. ქორქია (28), საკანდელიძე (19), პულავსკი (18), ჩხიკვაძე (17), ბიჭიაშვილი (4), უგრეხელიძე (4), ჩიხლაძე (2), ფიცხელაური (2), ვასიუტინსკი, სხიერელი.

„კალევი": ტამისტე (26), სალუმეტსი (24), ტომსონი (18), კრიკუნი (12), ილვესი (10), ფილატოვი (2), ბროსმანი, ლენციოსი, კოკი.

მსაჯები: ს. ბიჩენკო (ლენინგრადი), ვ. კრაჩუნიაკი (ჩერნოვცი).

დუბლიორები—86:64 (44:31) „კალევის" სასარგებლოდ.

ჯერ რამდენიმე სიტყვა მატჩის ბოლო აკორდზე, რომელმაც წერტილი დაუსვა 45-წუთიან გაურკვევლობას. კალათბურთში ბრძოლას ან კოლექტივი იგებს (ეს უფრო ხშირად ხდება), ან ერთი იღბლიანი ტყორცნა, თუმცა ესეც აუცილებლად კოლექტიური აზრის ბოლო გამოხატულება უნდა იყოს. მიუნხენის ოლიმპიადის ფინალური მატჩი ა. ბელოვის ზუსტმა ტყორცნამ მოიგო, მაგრამ გუნდის დანარჩენმა წევრებმა ყველა პირობა შექმნეს ამ გადამწყვეტი სროლისთვის. გუშინწინდელი ბრძოლაც საკანდელიძის ერთმა ნახტომმა დააგვირგვინა, ოღონდ, მიუნხენისგან განსხვავებით, თბილისელ ტყორცნისთვის ერთადერთი წამი ჰქონდა დარჩენილი.

ასეთი რამ საკალათბურთო პრაქტიკაში იშვიათია: მიიღო ბურთი, მაღლა ახტე, შემოტრიალდე და ზუსტად ტყორცნო კალათში. იშვიათია, მაგრამ, ვინაიდან ასეთი რამ მაინც ხდება, ეს განსაკუთრებული შემთხვევა უმაღლესი ოსტატობის საზომად უნდა მივიჩნიოთ. საკანდელიძემ სხვა ბევრი სარგებლობაც მოუტანა კოლექტივს. იგი კარგი ორგანიზატორი და შემსრულებელი იყო, არც ერთ მძიმე წუთში არ დაუკარგავს რწმენა და ბრძოლის ხალისი.

დიდი სარგებლობა მოუტანა კოლექტივს მ. ქორქიამაც, ოღონდ შეხვედრის მეორე ნახევარში, როცა ვნებები დაიოკა და ბრძოლას ფხიზელი თვალით შეხედა. ქორქიას ნამდვილი ამპლუაც სწორედ ეს არის: ტემპი, ბრძოლა და თავგამოდება, თანაც ისეთი, სხვამ რომ არ იცის.

დააკვირდით ერთ დეტალს: დინამოელთა ქულების მთელი მარაგი, ისევე როგორც ესტონელებისა, ოთხი კალათბურთელის წილად მოდის („დინამოში" — ქორქიას, საკანდელიძის, პულავსკისა და ჩხიკვაძის, „კალევში" — ტამისტეს, სალუმეტსის, ტომსონისა და კრიკუნის ანგარიშზე). რა თქმა უნდა, კოლექტივის საერთო წარმატებას ამა თუ იმ კალათბურთელის მიერ დაგროვილი ქულების რაოდენობა არ განსაზღვრავს. კალათბურთი სპორტული თამაშია, თამაშში კი ერთს ტყორცნა უფრო ეხერხება, მეორეს — ამ ტყორცნისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა. და მაინც, ბრძოლის საბოლოო მიზანი შედეგია, შედეგს კი კალათბურთელები ქმნიან. ამიტომ, რაც უფრო ხშირია ზუსტი ტყორცნა, მით უფრო ახლოა მიზანი. გუშინწინ თბილისელებს ერთი ზუსტი ტყორცნით მეტი აღმოაჩნდათ და იგი წარმატებისთვის საკმარისი გამოდგა.

გამარჯვებულებს არ ასამართლებენ, მაგრამ ერთი რამ მაინც უნდა ვთქვათ: მეორე ტაიმში „დინამო" წინ იყო მთელი 11 ქულით. 11-ქულიანი უპირატესობა მთელი მატჩის თუ არა, ერთი ტაიმის მოსაგებად მაინც უნდა კმაროდეს. თბილისელებმა ეს სხვაობა სულ რაღაც ორიოდე წამში გაფლანგეს. ეს დაუშვებელი გულგრილობაა, ყოვლად გაუმართლებელი უყურადღებობა, რომელმაც კინაღამ შეცვალა შეხვედრის ბედი. ისტორია კალათბურთში ხშირად მეორდება. ალბათ გახსოვთ, „დინამომ" რა უცბად გაატანა ქარს 20-ქულიანი უპირატესობა ცსკასთან მატჩში. მაშინაც ბრძოლა მხოლოდ მინიმალური სხვაობით მოვიგეთ. გუშინწინაც ანალოგიური შემთხვევა მოხდა. მესამედ შესაძლოა არც გაგვიმართლოს. არადა, რაოდენ გულდასაწყვეტია, როცა ოფლით მოპოვებული ქულები ასე უყურადღებოდ იკარგება!

ნ. გუგუშვილი.

• • •



სურათებზე: მ. ქორქია მეტოქეთა ალყაში; შეხვედრა მინი-კალათბურთში, რომელიც ოსტატთა მატჩს უსწრებდა. ნორჩი დინამოელის პირველი და მეორე კოლექტივების თამაში პირველი გუნდის წევრებმა მოიგეს—12:2. თქვენ ხედავთ კ. ლევანიძეს გარღვევის დროს.

მ. შარგარიანის ფოტოები.

• •

## 2 მარტს

ვოროშილოვგრადში ადგილობრივმა „ავტომობილისტმა" მოსკოვის „დინამოსთან" წააგო — 74:76 (31:41).

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 6 მარტისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 18 | 16 | 2 | 1571—1301 | 16 |
| „ჟალგირ." | 18 | 14 | 4 | 1366—1266 | 14 |
| „სპარტ." | 16 | 12 | 4 | 1255—1168 | 12 |
| „დინამო" (თბილისი) | 18 | 11 | 7 | 1342—1328 | 11 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 18 | 11 | 7 | 1338—1305 | 11 |
| „სტროიტ." | 16 | 7 | 9 | 1137—1170 | 7 |
| „კალევი" | 17 | 5 | 12 | 1146—1216 | 5 |
| ასკ | 17 | 4 | 13 | 1094—1191 | 4 |
| რტი | 18 | 4 | 14 | 1276—1411 | 4 |
| „ავტომ." | 16 | 2 | 14 | 1098—1267 | 2 |



## მოსწავლეთა მარჯვე საქმენი

ქუთაისის სპორტულ ბაზებზე მიმდინარეობს ქალაქის ახალგაზრდობის სპორტული თამაშები, რომლის პროგრამა 25 სახეობას მოიცავს.

ზოგიერთ სახეობაში შეჯიბრება უკვე დამთავრდა.

კალათბურთელთა ტურნირში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: ქალთა შორის — 1. განათლების განყოფილება, 2. „სპარტაკი", 3. „კოლხიდა"; ვაჟებში — 1. „განთიადი", 2. განათლების განყოფილება, 3. „კოლხიდა".

განათლების განყოფილების სპორტსმენები უძლიერესნი იყვნენ ფრენბურთელ გოგონათა და ჭაბუკთა ასპარეზობაშიც.

მოკრივეთა შეჯიბრებაც განათლების განყოფილების კოლექტივმა მოიგო. „ლოკომოტივი" II ადგილზე გავიდა, „შრომითი რეზერვები" კი III. წონითი კატეგორიების მიხედვით თამაშების ჩემპიონები გახდნენ: ა. ცქიფურიშვილი, გ. სამანიშვილი, გ. რატიანი (სამივე — განათლების განყოფილება), ა. ნემსაძე („შრომითი რეზერვები"), ვ. მურუსიძე (განათლების განყოფილება), კ. კაისიდი („განთიადი"), ზ. კახიძე („ლოკომოტივი"), ვ. ფილიპოვი (განათლების განყოფილება), ზ. აბაშიძე („შრომითი რეზერვები"), მ. ფომენჩენკო („დინამო"), ს. ხაბურზანია (განათლების განყოფილება), ნ. წულუკიძე („დინამო").

ლ. ფაჩუაშვილი. (ჩვენი კორ.).

ქუთაისი.

**ონი**

რაიონის მოსწავლე მოთხილამურეთა პირველობაში შვიდი სკოლის 70-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა. გოგონათა შორის გაიმარჯვეს: 3 კილომეტრზე — მ. გაგნიძემ (ირი), 5 კილომეტრზე — თ. ბაქურაძემ (გლოლა). ჭაბუკებში 5 კილომეტრზე ასპარეზობა თ. ბაქურაძემ (გლოლა) მოიგო, 10 კილომეტრზე რბოლა კი ჯ. გოგრიჭიანმა (ღები). საერთო გუნდური პირველობა გლოლელმა მოსწავლეებმა დაისაკუთრეს. II ადგილზეა ირის კოლექტივი, III კი ღების სკოლის გუნდი.

ა. მაისურაძე.

ჩვენი კალენდარი — შ. ვინავერის დაბადების 135 წლისთავი

# პოლონელი კომერსანტი საჭადრაკო სარბიელზე

1867 წლის ზაფხულში საფრანგეთის დედაქალაქში მსოფლიო გამოფენა ეწყობოდა. ხუთი წლით ადრე ლონდონში ასეთივე გამოფენასთან დაკავშირებით მოჭადრაკეთა დიდი საერთაშორისო ტურნირი გაიმართა. ფრანგებმა გადაწყვიტეს არ ჩამორჩენოდნენ ლამანშის გაღმა მდებარე ქვეყანას და ამჯერად უფრო საინტერესო, მრავალფეროვანი საჭადრაკო შეჯიბრების ჩატარება ითავეს. პროგრამის თვალი იყო მთავარი ტურნირი — ჭადრაკის ისტორიაში მესამე საერთაშორისო სახელით ცნობილი. გათვალისწინებული იყო დიდი საერთაშორისო კონგრესი საჭადრაკო კომპოზიციაში და ერთი მეორეხარისხოვანი შეჯიბრება, რომელიც პარიზის კაფე „რეჟანსში" უნდა გამართულიყო. ამას გარდა, ცნობილმა ოსტატებმა — გერმანელმა ნეიმანმა და პროგრამის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა დე რივიერმა მაღალი წრის ქალბატონებთან თითო-თითო პარტია ითამაშეს დაფაზე დაუხედავად. ქალბატონები დაფებს აკვირდებოდნენ, ოსტატები კი მხოლოდ ქალბატონებს შესცქეროდნენ. ეს უკანასკნელნი „ისე კარგად" თამაშობდნენ ჭადრაკს, რომ დამსწრე საზოგადოების სასიხარულოდ პროფესიონალებმა ორივე პარტია წააგეს.

ზემოდასახელებული ორი მოთამაშის გარდა მთავარ ტურნირში გამოდიოდნენ მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკე სტეინიცი, ავსტრიელი კოლიში, პოლონელი როზენტალი, დანიელი ფრომი, სახელგანთქმული ამერიკელი პრობლემისტი ლოიდი და სხვ. გამორჩენილ მოჭადრაკეთაგან არ თამაშობდნენ მხოლოდ ანდერსენი და პაულსენი.

ტურნირის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე ორგანიზატორების ყურადღება მიიქცია ერთმა ახალგაზრდა კაცმა, რომელიც კაფე „რეჟანსში" სისტემატურად უსწორდებოდა თავის პარტნიორებს. უცნობმა ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ პირდაპირ მთავარ ტურნირში თამაში (!) შესთავაზეს. ისიც დათანხმდა. ეს უცნობი გახლდათ ვარშაველი კომერსანტი შიმონ ვინავერი, რომელიც მსოფლიო გამოფენაზე თავის სავაჭრო საქმეებთან დაკავშირებით ჩავიდა. ტურნირზე მისი მიწვევა იმდენად უჩვეულო და მოულოდნელი იყო, რომ იმავე საღამოს ერთ-ერთმა მონაწილემ როზენტალმა (იგი ვინავერის შორეული ნათესავი გახლდათ) თავისი ახალგამომცხვარი მეტოქე, რომელმაც ხეირიანად არც კი იცოდა მორფის ვინაობა, შინ მიიპატიჟა, რათა მისი საჭადრაკო ძალა გამოეცადა. როზენტალმა სწრაფად წააგო ორი პარტია, თუმცა, მართალია, ლაზიერის მხედრის გარეშე თამაშობდა და ბოლოს დაასკვნა: უმხედროდ შენთან თამაში არ შეიძლებაო. ტურნირის დაწყებისთანავე გამოირკვა, რომ პოლონელ კომერსანტთან თამაში ფიგურების სრული კომპლექტითაც კი ძნელი იყო.

პირველი პრიზი — 4000 ფრანკად შეფასებული სერვიზი — დაწყვსა ჭადრაკის მოყვარულმა, საკმაოდ სუსტად მოთამაშე ნაპოლეონ მესამემ. სერვიზი მოიპოვა ბანკირმა კოლიშმა, კაცმა, რომელსაც ყველაზე ნაკლებად სჭირდებოდა იგი. კოლიშმა 20 ქულა დააგროვა (ყაიმების ჩათვლით მას ასეთი შედეგი ჰქონდა*: +20—2=2). 19 ქულით მეორე პრიზი ყველასთვის და პირველ ყოვლისა თავისთვის მოულოდნელად დაისაკუთრა ვინავერმა (+19—1=4). მან ერთადერთი პარტია წააგო, თანაც სტეინიცთან. ქულების ჩათვლის სისტემა ჩვეულებრივი რომ ყოფილიყო, ბანკირ-კომერსანტის „საქმოსნური" დუეტი I-II ადგილებს გაიყოფდა. მესამე პრიზი მოიპოვა სტეინიცმა (+18—3=3).

შიმონ ვინავერი ვარშავაში დაიბადა 1838 წლის 6 მარტს. პირველი გამოსვლის შემდეგ 29 წლის კომერსანტი მტკიცედ დამკვიდრდა მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკეთა რიცხვში და ტურნირებში მუდამ ერთ-ერთ ფავორიტად ითვლებოდა. პარიზული წარმატება მის საჭადრაკო კარიერაში შემთხვევითი რომ არ იყო, ამას ვინავერის შემდგომი მიღწევებიც მოწმობს: ლაიპციგი, 1877 წელი — IV ადგილი; პარიზი — 1878 — I-II, დამატებითი მატჩი პირველი პრიზისთვის ვინავერმა წააგო ცუკერტორტთან; ბერლინი, 1881 — III-IV ჩიგორინთან ერთად. აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ 1875 წელს ვინავერი პეტერბურგს ეწვია და გაიმარჯვა რუსეთის დედაქალაქის უძლიერეს მოჭადრაკეთა ტურნირში. იქ მან ყურადღება მიაქცია ჩიგორინის თამაშს და ახალგაზრდა მოჭადრაკეს ბრწყინვალე მომავალი უწინასწარმეტყველა. ბერლინის ტურნირი ჩიგორინისთვის საერთაშორისო სარბიელზე პირველი გამოსვლა იყო და ეს ვინავერის რეკომენდაციით მოხდა. როგორც ხედავთ, „პროტეჟეს" არ შეურცხვენია „პროტექტორი".

1882 წელს ვინავერმა შესანიშნავად ითამაშა ვენაში, სადაც სტეინიცთან ერთად I-II ადგილები გაიყო. უკან დარჩნენ ამერიკელი ოსტატები მეზონი და მეკენზი, ცუკერტორტი, ბლეკბერნი, ენგლიში, პაულსენი, ჩიგორინი... დამატებითმა მატჩმა პირველი პრიზისთვის გამარჯვებული ვერ გამოავლინა: პირველი პარტია ვინავერმა მოიგო, მეორე კი სტეინიცმა.

1883 წელს ნიურნბერგში თითქმის იგივე განმეორდა, რაც პარიზში მოხდა თექვსმეტი წლის უკან. ვინავერი კომერციული მიზნებით ვენას მიემგზავრებოდა. მატარებელში მას კბილი ასტკივდა და იძულებული გახდა ნიურნბერგში ჩამომხტარიყო. იქ მალე უნდა დაწყებულიყო საერთაშორისო ტურნირი, რომლის ერთ-ერთი მონაწილე მეზონი შემთხვევით წააწყდა დანტისტის ძებნაში მოხეტიალე ვინავერს. საბოლოოდ ეს შეხვედრა იმით დამთავრდა, რომ ვინავერმა სავაჭრო საქმეები გადადო, ტურნირში ითამაშა და აიღო... პირველი პრიზი.

მერე ვინავერი ცხრა წლით ანებებს თავს ჭადრაკს და შემდეგში ნაკლები წარმატებებითაც გამოდის. ეს ბუნებრივიცაა: ასაკს თავისი მიაქვს. საერთოდ, ვინავერი მეტად ნიჭიერი და ცხოვრებაში უპრეტენზიო კაცი იყო. ჭადრაკსაც რაღაცნაირად თავისებურად ეკიდებოდა. რად ღირს თუნდაც ის ამბავი, რომ თავისი ჭეშმარიტი საჭადრაკო ძალა მან მხოლოდ 29 წლისამ გაიგო. უკვე ცნობილი ოსტატი იყო, მაგრამ შეიძლება წელიწადი ისე გასულიყო, რომ ჭადრაკისთვის ხელი არ ეხლო. ერთხელ შინ ახალგაზრდა მოჭადრაკემ მიაკითხა საკონსულტაციოდ, მაგრამ მასპინძელს კომპლექტი არ აღმოაჩნდა!

1896 წელს ნიურნბერგის საერთაშორისო ტურნირში ვინავერი ბრწყინვალედ ეთამაშა და მოუგო სტეინიცს, რომელსაც იმ დროისთვის უკვე დაკარგული ჰქონდა საჭადრაკო გვირგვინი და მსოფლიოს ახალ ჩემპიონთან ლასკერთან მატჩ-რევანშისთვის ემზადებოდა. მიუხედავად ხანდაზმულობისა, 58 წლის ვინავერმა ახალგაზრდული სულისკვეთებით წარმართა პარტია და უკვე მე-20 სვლაზე 60 წლის ექს-ჩემპიონმა დამარცხების ნიშნად საათი გააჩერა. გთავაზობთ ამ პარტიას:

**ვინავერი — სტეინიცი**

ცენტრალური დებიუტი

1. e4 e5 2. d4 ed 3. ლ:d4 მc6 4. ლe3 მf6 5. მc3 კb4 6. კd2 0—0 7. 0—0—0 ეe8 8. კc4 კ:c3 9. კ:c3 მ:e4 10. ლf4 მf6 11. მf3 d6 12. მg5 კe6 13. კd3 h6 14. h4 მd5 15. კh7+ მფh8 16. ე:d5 კ:d5 17. კe4 f6 18. კ:d5 fg 19. hg მe5 20. ლg6 შავები დანებდნენ.

ჭადრაკისადმი არც თუ პროფესიული დამოკიდებულების მიუხედავად, ვინავერმა გარკვეული ღვაწლი დასდო დებიუტების თეორიას, თუმცა ენდშპილის უბადლო ოსტატიც იყო. ცნობილია ვინავერის ვარიანტი ფრანგულ დაცვაში, ვინავერის კონტრგამბიტი. მან ერთ-ერთმა პირველმა გამოიყენა გაცვლითი ვარიანტი ესპანურ პარტიაში, რომელსაც შემდეგში წარმატებით თამაშობდა ლასკერი.

1897 წლიდან ვინავერმა თავი მიანება ჭადრაკს. იგი თავის მშობლიურ ქალაქში გარდაიცვალა 81 წლისა.

გ. კაკაბაძე.

* მონაწილეები ერთმანეთთან ორ-ორ პარტიას თამაშობდნენ. ყაიმის შემთხვევაში ორივეს ნული ეწერებოდა.

„კაეზე სერას“ (რომი) მიხედვით

# ფეხბურთელის სიკვდილი



ალმირ მორაესი, წარსულში ცნობილი ფეხბურთელი, ბრაზილიის „ვასკო და გამას“ და „ფლამენგოს“ ცენტრალური თავდამსხმელი, რომელიც არგენტინისა და იტალიის საკლუბო გუნდებშიც თამაშობდა, ჩხუბის დროს მოკლეს რიო-დე-ჟანეიროს ერთ-ერთ ბარში, სადაც თავის საცოლესთან და ორ მეგობართან ერთად იყო.

ასე დაასრულა სიცოცხლე სამხრეთ ამერიკასა და ევროპაში განთქმულმა ფეხბურთელმა, რომელსაც შესანიშნავი თამაშისთვის თანამემამულენი თეთრ პელეს უწოდებდნენ.

ალმირ მორაესი იმ საბედისწერო შემთხვევამდე რამდენიმე დღით ადრე დაბრუნდა რიო-დე-ჟანეიროში და თან ჩაიტანა სენსაციური მასალების მთელი დასტა, რომლებიც ამხილებდნენ „სანტოსის“ ფეხბურთელების მიერ დოპინგის გამოყენების ფაქტს 1963 წლის საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშების ფინალურ მატჩში იტალიის „მილანთან“. მორაესის საბუთები ნათელს ჰფენდნენ იმ ამბავსაც, რომ პელეს გუნდმა ამ მატჩის წინ მოისყიდა არგენტინელი მსაჯი ჟ. ბრაცი.

რიო-დე-ჟანეიროში ჩასვლისთანავე ალმირმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ აპირებს უახლოეს მომავალში საერთაშორისო პროფესიული ფეხბურთის ინტრიგებისა და მაქინაციების გამოაშკარავებას. ამიტომ არცაა გასაკვირი, რომ საფეხბურთო ბიზნესის მესვეურთათვის ძალიან საჭირო შეიქნა ალმირ მორაესის სამუდამოდ დადუმება.

იტალიურიდან თარგმნა
**რ. ქევანიშვილმა.**

## მონდომებით, ვაჟკაცური შემართებით

საინტერესო იყო ახალგაზრდა სამბისტთა რესპუბლიკური პირად-გუნდური პირველობა, რომელსაც ამას წინათ დუშეთი მასპინძლობდა. შეჯიბრებაში მონაწილეობდა სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა 8 კოლექტივი. ახალგაზრდებმა მზარდი ოსტატობა და მონდომება გამოავლინეს, ამან კი ბრძოლა უაღრესად საინტერესო გახადა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოასპარეზენი უხვად იყენებდნენ ქართული ჭიდაობის ილეთებს, თამამად ეძებდნენ გართულებებს. ქებით უნდა მოვიხსენიოთ ა. ბარკალაევი, ო. ყურაშვილი, მ. ლოსეურაშვილი და სხვა მოჭიდავეები, რომლებიც ვაჟკაცური შემართებით სხვებსაც მაგალითს აძლევდნენ.

დუშეთის სარბიელზე 108 სპორტსმენი გამოვიდა. ამ სარეკორდო ციფრმა ერთხელ კიდევ გაუსვა ხაზი სამბოს პოპულარობას ჩვენს ახალგაზრდებში. ზუსტად და უშეცდომოდ იმუშავა მსაჯთა კოლეგიამ, რომელსაც ცნობილი ვეტერანი ფალავანი ზ. მუხიაშვილი ხელმძღვანელობდა. სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ სპორტსაზოგადოებები სერიოზულად მოეკიდნენ ტურნირს. „შრომით რეზერვებს“ არასდროს გამოუყვანია ასეთი ძლიერი გუნდი (იგი ძირითადად რუსთავის მოჭიდავეებით იყო დაკომპლექტებული. მწვრთნელი დ. ჩაჩანიძე).

I ადგილი დამსახურებულად მოიპოვა არმიის სპორტული კლუბის გუნდმა, რომელიც ახალგაზრდა მწვრთნელმა ჯ. ნათელაშვილმა მოამზადა. II საპრიზო ადგილზე გავიდა „დინამო“, III — „კოლმეურნე“.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: დ. ჯულაშვილი (თბილისის უნივერსიტეტი, „ბურევესტნიკი“) მ. ლოსეურაშვილი („კოლმეურნე“, დუშეთი), ა. ხუციშვილი („კოლმეურნე“, კასპი), ნ. ხუციშვილი (ასკ, თბილისი), მ. ბროძელი („დინამო“, თბილისი), მ. ჯარიაშვილი (ასკ, თბილისი), ა. ბარკალაევი („კოლმეურნე“, თბილისი), ზ. ბახტაძე (ასკ, თბილისი), ვ. მერკვილაძე („დინამო“, ქუთაისი), მ. ფერაძე (თბილისის უნივერსიტეტი, „ბურევესტნიკი“).

**ქ. ნინიაშვილი,**
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

დუშეთი.



# მუჰამედ ალის 41-ე გამარჯვება

როგორც ვიუწყებოდით, ამერიკის ქალაქ ლას-ვეგასის რინგზე მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა პროფესიულ მოკრივეთა შორის მუჰამედ ალიმ ქულებით დაამარცხა ევროპის ჩემპიონი ჯო ბუგნერი.

ალისთვის ეს გამარჯვება რიცხვით ორმოცდამეერთე იყო პროფესიულ რინგზე. შემდეგ ორთაბრძოლას იგი სან-დიეგოში გამართავს კენ ნორტონთან, რომელსაც მძიმე წონის უძლიერეს მოკრივეთა სიაში მეშვიდე ადგილი უკავია.

სურათზე: ბრძოლის მომენტი. მარცხნივ — მ. ალი.

იუპი — საკდესის ფოტო.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

### თასები, თასები...

### ჩემპიონატები, [illegible], ლიდერები

#### ინგლისი

შაბათს „უემბლის“ მინდორზე ქვეყნის ლიგის თასის ფინალურ მატჩში ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურმა“ სძლია „ნორვიჩ-სიტის“ (1:0) და თასიც მოიპოვა. გოლი შეხვედრის მიწურულს გაიტანა კოუტსმა.

ჩემპიონატის მორიგ ტურში „მანჩესტერ იუნაიტედი“ შინ შეხვდა „ვესტ ბრომვიჩ ალბიონს“. II ლიგაში გადასვლის კანდიდატთა შეუპოვარი მატჩი მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა — 2:1. მანჩესტერელთაგან გოლები გაიტანეს კიდმა და მაკარიმ.

ლონდონის „არსენალმა“ შინ მოუგო „შეფილდ იუნაიტედს“ — 3:2. შეფილდელები ორჯერ იყვნენ წინ, მაგრამ ორივეჯერ ლონდონელმა ჯორჯმა ანგარიში გაათანაბრა, მატჩის მიწურულს კი ბოლმა გადამწყვეტი გოლი გაიტანა.

ლივერპულში ადგილობრივი „ევერტონისა“ და „ლივერპულის“ შეხვედრა ლიდერის მოგებით დამთავრდა — 2:0. ორივე გოლი „ლივერპულის“ მცველმა ჰიუზმა გაიტანა.

აი, მოწინავე სამეული:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „ლივერპული“ | 32 | 57:33 | 46 |
| „არსენალი“ | 32 | 46:29 | 46 |
| „ლიდს იუნაიტედი“ | 30 | 54:32 | 42 |

#### შოტლანდია

შაბათს გლაზგოს „სელტიკმა“ შინ მოუგო „აბერდინს“ — 2:0. გოლები გაიტანეს ჰუდმა და დალგლიშმა.

„გლაზგო რეინჯერსმა“ სტუმრად მოუგო „სენტ-ჯონსტონს“ — 2:1. ედინბურგის „ჰიბერნიენმა“ დაამარცხა „დამბარტონი“ — 5:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „გლაზგო რეინჯერსი“ | 25 | 50:21 | 39 |
| „სელტიკი“ | 24 | 63:25 | 38 |
| „ჰიბერნიენი“ | 24 | 64:24 | 35 |

#### გფრ

თასის გათამაშების მეოთხედფინალურ შეხვედრაში ამ საპატიო ჯილდოს მფლობელმა — გელზენკირხენის „შალკე 04“-მა წააგო მენჰენგლადბახის „ბორუსიასთან“ — 0:2. ობერჰაუზენში მიუნხენის „ბაიერნმა“ სძლია „როტ-ვაისს“ — 2:1.

ჩემპიონატის ლიდერთა სამეული კი ასეთია:

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბაიერნი“ | 23 | 63:22 | 36 |
| „ფორტუნა“ (დიუსელ.) | 22 | 48:34 | 29 |
| „ბორუსია“ | 23 | 60:42 | 29 |

#### ჰოლანდია

ამსტერდამის „აიაქსმა“ სტუმრად მოუგო „ნიმეგენს“ — 4:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „აიაქსი“ | 22 | 74:12 | 38 |
| „ფეიენოორდი“ (როტ.) | 21 | 55:13 | 38 |
| „სპარტა“ (როტერდ.) | 22 | 59:18 | 33 |

#### საბერძნეთი

პირეოსის „ოლიმპიაკოსმა“ შინ მოუგო ლიდერს — სალონიკის პაოკ-ს — 1:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| პაოკ | 19 | 39:13 | 51 |
| „ოლიმპიაკოსი“ | 19 | 40:5 | 50 |
| „პანათინაიკოსი“ (ათენი) | 19 | 44:11 | 49 |

### სტეინის დიდი მიღწევები

ძნელად თუ ვინმე დაიკვეხნის ჯ. სტეინის მსგავს მიღწევებს. იგი 1965 წლიდან უდგას სათავეში გლაზგოს „სელტიკს“. ამ ხნის განმავლობაში „სელტიკი“ შვიდჯერ გახდა შოტლანდიის ჩემპიონი, ხუთჯერ მოიგო თასი, ხუთჯერ — შოტლანდიის ლიგის თასი და ერთხელ — ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი.

სულ ამ ხნის განმავლობაში „სელტიკმა“ 238 მატჩი ჩაატარა, რომელთაგან 186 მოიგო, 33 ფრედ დაამთავრა და 19 წააგო. „სელტიკმა“ გაიტანა 693 ბურთი (საშუალოდ დაახლოებით 3 გოლი თამაშში) და თავის კარში გაუშვა 203. ეს უმაგალითო შედეგიანობაა ევროპული მასშტაბით.

● ●

### „მსაჯების ბრალია“, —

ასე აცხადებენ ათენის ცნობილ კლუბ „პანათინაიკოსის“ მესვეურები, როცა ლაპარაკი ეხება გუნდის შეუფერებელ შედეგებს ქვეყნის ჩემპიონატში. მართლაც, უცნაურია, რომ „პანათინაიკოსი“ სარგებლობს უძლიერესი ბერძნული კლუბის რეპუტაციით. (იგი ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ფინალშიც კი გავიდა). ეროვნულ პირველობაში კი თამაშს თამაშზე აგებს. ეს სისტემატური მარცხი გაცილებით ნაკლები რეპუტაციის გუნდებთან განმარტებას საჭიროებს, „პანათინაიკოსიც“ ამიტომ ლაპარაკობს „მსაჯთა შეთქმულებაზე“.

● ●

### როცა „ბაიერნი“ თამაშობს

როცა ევროპის რომელიმე სტადიონზე გფრ-ის უძლიერესი კლუბი „ბაიერნი“ თამაშობს, მაყურებლებს პატიჟი არ სჭირდებათ. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ გუნდის მატჩებზე საშუალოდ 40 ათასი კაცი დადის. პარიზშიც კი, სადაც „პარკ დე პრენსის“ სტადიონზე ეროვნული ჩემპიონატის მატჩებს 5-8 ათასი მაყურებელი თუ ესწრება, „ბაიერნისა“ და მარსელის „ოლიმპიკის“ ამხანაგურ შეხვედრაზე 40 ათასი მაყურებელი მოვიდა. ყველას უნდა ენახა ბეკენბაუერის, მიულერისა და მათი პარტნიორების თამაში.

### II ადგილზე

კაირო, 5 მარტი. ეროვნებათა თასზე ჩოგბურთელთა გუნდურ შეჯიბრებაში საბჭოთა სპორტსმენებმა ფინალში საფრანგეთის ნაკრებთან წააგეს (1:2) და საბოლოოდ II ადგილი დაიკავეს. წყვილთა მატჩში ს. ლიხაჩოვმა (ბაქო) და ვ. კოროტკოვმა (მოსკოვი) ფრანგებს პ. პრუაზისა და პ. დომინგესს სძლიეს (6:4, 6:3), მაგრამ თ. კაკულიამ (თბილისი) და კოროტკოვმა მათთან ერთეულთა თანრიგის შეხვედრები წააგეს.

### 19 45

◆ გიჟიცკე (პოლონეთი), 5 მარტი. საბუერო სპორტის ოსტატთა აქ გამართულ VIII ევროპულ ჩემპიონატში (კლასი „დნ“) სამივე საპრიზო ადგილი ტალინელებმა დაიკავეს: პირველია ე. ვოორემა, მეორე — მ. ლეპიკი, მესამე — ვ. იურიე.

◆ ლენინგრადი, 5 მარტი. სსრ კავშირის, ბულგარეთის, გდრ-ის, გფრ-ის, იუგოსლავიის, კუბის, პოლონეთის, რუმინეთის, უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის პატარა ჩოგნის ოსტატები ჩაებნენ აქ დაწყებულ ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში. უძლიერესთათვის ესაა ბოლო რეპეტიცია სარაევოს მსოფლიო ჩემპიონატის წინ. პირველ წინასწარ შეხვედრებში ელვირა ანტონიანმა (სსრკ) სძლია იოლანდა ველასკესს (კუბა) — 3:0, ხოლო ალექსანდრე რადელისმა (სსრკ) — პოლონელ ადამ პადეს. 6 და 7 მარტს გაიმართება ნახევარფინალები, 8 მარტს კი ფინალებია.

### კროსი ტბასთან

ევპატორია (ყირიმის ოლქი), 5 მარტი. მოინაკის ტბის მახლობლად დამთავრდა სსრ კავშირის ჩემპიონატი მძლეოსნურ კროსში. საერთო გუნდური გამარჯვება რუსეთის ფედერაციის მორბენლებმა მოიპოვეს. II ადგილზეა უკრაინის ნაკრები, III — ყაზახეთის კოლექტივი.

2 კილომეტრზე ქალთა კროსში ყველას აჯობა მ. ისტომინამ (რსფსრ) — 6.16,6. ვერცხლის მედალი ბელორუსიელ ლ. დემჩენკოს ხვდა — 6.21,6. 3 კმ-ზე რბენა ს. ვასკოვამ (რსფსრ) მოიგო — 9.49,8. მან ზედიზედ მეორედ მოიპოვა ჩემპიონობა ამ დისტანციაზე.

მოულოდნელად დამთავრდა ვაჟთა ბრძოლა 8 კილომეტრზე. ფინიშის სწორზე ივანოვოს ინსტიტუტის სტუდენტმა ვ. კომისაროვმა 0,6 წამით ჩამოიტოვა ცნობილი ოსტატი, მოსკოველი ი. ალექსაშინი. გამარჯვებულის შედეგია 23.36,2.

სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონმა, ლენინგრადელმა რ. შარაფეტდინოვმა მორიგი ოქროს მედალი დაისაკუთრა 12 კმ-ზე — 36.00. ბოლო მეტრებზე მან გაუსწრო სსრ კავშირის ნაკრების წევრებს ნ. სვირიდოვს (რსფსრ) — 36.00,8, და ა. ბადრანკოვს (ყაზახეთი) — 36.01,2.

როგორც წინადღით, 30 კმ-ზე რბენაში, ტრასა ძალიან რთული იყო — ღორღიანი და მოყინული.

### რამდენიმე სტრიქონით

→ ახალციხე

ბავშვთა სპორტსკოლის აღსაზრდელთა შეჯიბრება სიმაღლეზე ხტომაში სამ ასაკობრივ ჯგუფად ჩატარდა. ჭაბუკთა შორის გაიმარჯვეს ი. გარსევანიშვილმა — 180 სმ, ვ. მარტინენკომ — 145, და ს. კაიფაჯიანმა — 130. გოგონებში ყველას აჯობა ლ. პილშიკმა — 135 სმ. 15 მოსწავლემ სათანრიგო ნორმატივები შეასრულა.

**ლ. გიორგაძე.**

### თბილისის სპორტული [illegible]

ფეხბურთი. 8 მარტი. საქართველოს პირველობა მოსამზადებელ ჯგუფებს შორის. ფიზკულტურის ინსტიტუტის სტადიონი. მწვრთნელთა სკოლა (თბილისი) — ახალგაზრდ. საფეხბ. სკოლა (თელავი). დასაწყისი 12 ს. დილმის საწვრთნელი ბაზა. „ავაზა“ (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია). 12 ს. გლდანის სტადიონი. „სპორტინტერნატი“ (თბილისი) — „დინამო“ (სოხუმი). 15 ს. „სინათლის“ სტადიონი. განათლების განყოფილება (თბილისი) — „კოლხეთი“ (ფოთი). 16 ს.

**რედაქტორი მ. კაკაბაძე.**